ასეთია კინოს ძალა!

საქართველოს ველოსიპედისტები არც ისე ხშირად ასპარეზობენ უცხოეთის გუნდებთან, ამიტომ ყოველ საერთაშორისო შეხვედრას მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. რუმინეთისა და საქართველოს ველოსიპედისტთა სამატჩო ბრძოლა ტრეკზე, რომელიც ბოლო ხანებში ტრადიციული ხდება, ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში სასიამოვნო მოვლენად იქცა და, ცხადია, ღირსეულ შეფასებასაც იმსახურებს.

მართალია, რუმინეთის გუნდის რეალური ძალა საერთაშორისო სარბიელზე არც ისე დიდია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს. სიტუაცია, სადაც პასუხისმგებლობის გრძნობა ერთიორადაა გაზრდილი და მეტოქეობაც უფრო სახალისოა, ბუნებრივია, იზიდავს მოასპარეზეთ, რაზმავს მათ საბრძოლო თვისებებს და მაყურებელსაც უფრო მხიარულ გუნებაზე აყენებს.

წარმოიდგინეთ ამ რანგის შეჯიბრება ადგილობრივ სპორტსმენთა შორის: ყველამ ყველაფერი იცის, სიურპრიზს ნუ ელით, პირდაპირ შეიძლება გაანაწილოთ ადგილები, უშეცდომოდ ჩამოთვალოთ პრიზიორები და... ასპარეზობაც დამთავრდა.

შაბათ-კვირას თბილისის ტრეკზე ჩვენთვის, მაყურებლებისთვის ბევრი რამ იყო გაურკვეველი. ველოსიპედისტები ამას გრძნობდნენ, ღელავდნენ და თავიანთ რიგს მოუთმენლად ელოდნენ. იმ დღეებში თბილისის ტრეკზე კიდევ ერთი უჩვეულო რამ ხდებოდა, რაც ისედაც საზეიმო განწყობას ახალ, განსაკუთრებულ ელფერს აძლევდა.

ჩვენ კარგა ხანია ვსაყვედურობთ ქართული კინოს მუშაკებს სპორტული თემატიკისადმი გულგრილობას. და აი, თითქოს ამ საყვედურის პასუხად, თბილისის ველოტრეკზე მუშაობა გაიჩაღა კინოსტუდია „ქართული ფილმის" ერთმა ჯგუფმა რეჟისორ გ. კალატოზიშვილის მეთაურობით. მართალია, მომავალი კინოდეტექტივი — „ფილატელისტის სიკვდილი" ჩვენი თემატიკისგან შორსაა, მაგრამ ერთი სპორტული ეპიზოდისთვისაც რეჟისორი ულრმეს მადლობას იმსახურებს.

კინოკამერის ცნობისმოყვარე მზერამ ველოსიპედისტთა ყოველ მოქმედებას არტისტული შტრიხი შემატა და თქვენ წარმოიდგინეთ, საგმირო საქმეებისთვის განაწყო. ასეთია კინოს ძალა!

აი, ერთი კადრი. მიმდინარეობდა ჯგუფური რბოლა 100 წრეზე, 20 საშუალედო ფინიშით — უაღრესად მომგებიანი სანახაობა თვალისთვის, კინოობიექტივისთვის და საკმაოდ სარისკო — მოასპარეზეთათვის.

ბრძოლა, როგორც ყოველთვის, დაიწყო ფრთხილად, ანგარიშიანად. შემდეგ მოახლოვდა პირველი ფინიში და აღზევდა ვნებანი. ერთმა ველოსიპედისტმა ვირაჟის სიმაღლიდან სცადა „გაქცევა", მეორემ ფინიშისკენ უმოკლეს გზას დაუწყო ძებნა. უფრო გამოცდილები კი არ ჩქარობდნენ — წინ იყო მთელი ბრძოლა.

მაგრამ აი, პირველი შეფერხება — დაეცა მთავარი ფავორიტი ნიშნიანიძე. მსაჯთა კოლეგიიდან ისმის ბრძანება: 4 ნეიტრალური წრე! დაზარალებული გონს მოდის და ხულ მალე ლიდერთა ჯგუფს უბრუნდება. ვერ ისვენებს ნიშნიანიძე, წინ გაჭრა უნდა, გაქცევა. თბილისელს თვალს არ აშორებს გამოცდილი რუმინელი იონიცა (საფრთხის მოახლოება გუმანით იგრძნო და აღარ მოსცილებია ნიშნიანიძეს). ორიოდე წრის შემდეგ ჯგუფი კვლავ „შეიკრა".

მეექვსე თუ მეშვიდე ფინიშის შემდეგ ნიშნიანიძეს საბურავმა უმტყუნა. კვლავ შეფერხება, კვლავ ძვირფასი წუთების დაკარგვა. მაგრამ ნიშნიანიძე ამ დღეს მხოლოდ გამარჯვების სურვილად იყო ქცეული და... ერთხელ კიდევ დაეწია დაწინაურებულებს. შემდეგ კი თანაგუნდელებთან — პეტრინთან და პოპოვთან ერთად ჯგუფს მთელი წრე მოუგო. ფინიში ფაქტიურად ამ სამეულმა გაითამაშა და უძლიერესი, როგორც ველოდით, ნიშნიანიძე აღმოჩნდა.

იმ დღეს სხვა ჩვენმა ველოსიპედისტებმაც გამოიჩინეს თავი და „საქმენი საგმირონი" გვიჩვენეს. კაცაძემ ასპარეზობის დამთავრების შემდეგ რეკორდის გაუმჯობესებაც კი სცადა 1000 მეტრზე გიტში (სვლით), მაგრამ მასაც საბურავმა უმტყუნა და განზრახვა მომავლისთვის გადადო. ივაჟკაცეს გელაძემ, ბარამიამ, კუპრეიშვილმა, პოპოვმა, პეტრინმა და ყველამ, ვინც ამ დღეებში საგანგებოდ იყო განწყობილი ბრძოლისთვის.

ნ. გუგუშვილი.

• • •

ტექნიკური შედეგები

გუნდური რბოლა გამოთიშვით. 1. საქართველო — 46,5; 2. რუმინეთი — 47,5.

გიტი 200 მ სვლით. 1. გელაძე — 11,9; 2. კაცაძე — 12,0; 3. ფლორია (რუმინეთი) — 12,3.

სპრინტი. 1. გელაძე; 2. ფლორია; 3. ბარამია.

გიტი 1000 მ ადგილიდან. 1. კაცაძე — 1.11,9; 2. გელაძე — 1.13,3; 3. ლაიბნერი (რუმინეთი) — 1.13.7.

გუნდური რბოლა. 1. საქართველო — 4.52,5; 2. რუმინეთი — 5.01,5.

ჯგუფური რბოლა 100 წრეზე. 1. ნიშნიანიძე, 2. პოპოვი, 3. პეტრინი.

* * *



სურათზე: სპრინტერთა ფინალური ბრძოლის მომენტი — თ. გელაძე (მარცხნივ) და ი. ფლორია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 117 (3856)

18 1969 წ. ივნისი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 45-ე წელი.

პეტროსიანი — სპასკი

ოცდამესამე პარტია

ბ. სპასკი — ტ. პეტროსიანი

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. d4 cd 4. მ:d4 ლc7 5. მc3 e6 6. კe3 a6 7. კd3 მf6 8. 0—0 მe5 9. h3 კc5 10. ლe2 d6 11. f4 მed7 12. მb3 კ:e3+ 13. ლ:e3 b6 14. ეae1 კb7 15. e5 de 16. fe მd5 17. მ:d5 კ:d5 18. ეf4 b5 19. მd4 ეb8 20. c3 g6 21. a3 0—0 22. ეh4 f5 23. ef ე:f6 24. კe4 მc5 25. კ:d5 ed 26. ლe7 ლ:e7 27. ე:e7 h5 28. მf3 მe4 29. ეd7 ეd6 30. ე:d6 მ:d6 31. ეd4 მc4 32. ე:d5 მ:b2 33. ეd6 a5 34. ე:g6+ მფh7 35. ეc6 მc4 36. a4 მb2 37. ab ე:b5 38. c4 ეb7 39. c5 ეa7 40. ეd6 მფg7.

ძნელია მოგებაზე თამაში, ისიც შავებით. მაგრამ პეტროსიანს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა: მხოლოდ ამ გზით შეეძლო გაეგრძელებინა ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებისთვის. მან კვლავ სიცილიური დაცვა, მაგრამ ამჯერად პრაქტიკაში მივიწყებული სისტემა აირჩია.

სპასკი აუღელვებლად გაჰყვა თეორიაში ცნობილ ვარიანტს, რომელიც თეთრებს ოდნავ უკეთეს შანსს აძლევს. მე-8 სვლაზე პეტროსიანმა სხვანაირად ითამაშა და ბრძოლაც გაართულა.

მე-12 სვლაზე სპასკიმ 41 წუთს იფიქრა. ამის მიზეზი იყო g2—g4-ის შესაძლებლობა მძლავრი იერიშით. ეს გაგრძელება ლოგიკური ჩანდა, მაგრამ გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული. სამატჩო მდგომარეობა სპასკის გონივრულ თამაშს უკარნახებდა. სხვა დროს იგი აამოძრავებდა ამ პაიკს, ახლა კი მხედრის მშვიდობიანი სვლა ამჯობინა.

ცენტრის პრობლემის დადებითად გადაწყვეტის მერე პეტროსიანის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა საკუთარი მეფის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხი. სპასკის მე-18 სვლამ კიდევ უფრო გაართულა მეფის ბედი.

როცა სპასკი მე-19 სვლით b5-ზე კუს შეწირვით დაემუქრა, ნათელი შეიქნა, რომ შავი მეფე მოკლე როქში ეძიებს ხსნას. სპასკი მზად იყო საიერიშოდ და მან მყისვე დაიწყო შეტევა ეტლით.

პეტროსიანს დაცვის ორი გზა ჰქონდა: ერთი, რომელიც მან აირჩია, და მეორე — f8-ზე მხედრის გადაყვანით. მდგომარეობა კვლავ დაიძაბა, მაგრამ სპასკი აუღელვებლად თამაშობდა. იერიშის გაგრძელებას მან პოზიციის გამარტივება ამჯობინა. ჯერ ცენტრში გამაგრებული კუ გაუცვალა მეტოქეს, მერე ლაზიერების გაცვლაც შესთავაზა. ასე ითქმის, თორემ სინამდვილეში მან კი არ შესთავაზა, აიძულა პეტროსიანი გაეცვალა ლაზიერები.

შეიქმნა ენდშპილი, რომელშიც შავების მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. მაგრამ პეტროსიანი განაგრძობდა აქტიური ბრძოლის გზის ძიებას. 32-ე სვლით მან პაიკიც შეწირა.

— პეტროსიანი მოგების შანსის მიღების იმედს a პაიკის წინსვლაზე ამყარებს. მაგრამ ხომ შეუძლია სპასკის c პაიკის ამოძრავება? — ამბობდნენ პრეს-ცენტრში.

კარგი იყო სპასკის 36-ე სვლა. თამაში ისე წარიმართა, როგორც პრეს-ცენტრში ფიქრობდნენ. მაგრამ მეტოქეთა ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა: ამოიწურა თამაშის დრო. პარტია გადაიდო.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

მოსკოვი.

ბ. სპასკი.

გუშინ...

ბ. სპასკი — მსოფლიო ჩემპიონი

ტ. პეტროსიანის დაბადების დღეს (17 ივნისს მას 40 წელი შეუსრულდა) დაიბადა ჭადრაკში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი — ბ. სპასკი. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, როცა მეტოქენი თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ XXIII პარტიაში.

ამრიგად, დიდოსტატმა სპასკიმ 12,5 ქულა მოაგროვა, რამაც მას სანუკვარი წოდება მოუტანა.

ტ. პეტროსიანს 10,5 ქულა აქვს.

მატჩის უკანასკნელი, XXIV პარტია აღარ გაიმართება, ვინაიდან დებულების თანახმად, თუ ერთ-ერთმა მეტოქემ ქულათა 50 პროცენტზე მეტი მოაგროვა, იგი გამარჯვებულად ცხადდება და ბრძოლა წყდება.

პრიზების ახალი მარშრუტი

•

ომარ ფხაკაძე — პირველი

•

ტულა, 16 ივნისი. (საკდესი). აქ ჩატარდა საერთაშორისო ასპარეზობა „ტულის დიდ პრიზზე", რომელშიც მონაწილეობდნენ უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტები. სამივე მთავარი პრიზი საბჭოთა სპორტსმენებმა მოიპოვეს: სპრინტში გამარჯვება ხვდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, თბილისელ ო. ფხაკაძეს; ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა პირადი რეკორდით მოიგო გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა 4 კმ-ზე — 4.57,58; ხარკოველი ველოსიპედისტი ს. კრავცოვი უძლიერესი იყო 1 კმ-ზე ადგილიდან გიტში — 1.09,31. ეს სეზონის საუკეთესო შედეგია სსრ კავშირის ტრეკებისთვის.

სტუმრებიდან საუკეთესონი იყვნენ პოლონელი ი. კოტლინსკი (V ადგილი სპრინტში, VIII — გიტში), გდრ-ის წარმომადგენელი მ. მილდე (X ადგილი გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში) და რუმინელი ჯ. ნეგოესკუ. ამ უკანასკნელმა მოიგო სპეციალური პრიზი ჯგუფურ რბოლაში 30 წრეზე იმ სპრინტერებისთვის, რომლებიც მერვედფინალში ვერ მოხვდნენ.

4 კმ-ზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში III ადგილი დაიკავა გდრ-ის ველოსიპედისტთა ნაკრებმა. საუკეთესო იყო სსრ კავშირის პირველი ნაკრები.

„ტულის დიდი პრიზის" ლაურეატთა სახელებს კარგად იცნობენ სპორტის მოყვარულები. რა გვიჩვენა ახალგაზრდობამ, რომელსაც ასეთი შეჯიბრებები ოსტატობის მწვერვალებისკენ პირდაპირ გზას უხსნის? სამწუხაროდ, აშკარა იყო ვეტერანთა უპირატესობა. ნიჭიერმა ახალგაზრდა სპორტსმენებმა — ხარკოველებმა ი. ცელოვალნიკოვმა და ს. კრავცოვმა, ტულელმა ა. აგაპოვმა უბრძოლველად დაუთმეს ფხაკაძეს: ყველაზე ხელსაყრელ პოზიციაშიც კი არ ეყოთ სითამამე, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონისთვის შეეტიათ.

სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა გუნდურ რბოლაში და საკავშირო ჩემპიონატების 17 ოქროს მედლის მფლობელმა, 30 წლის ს. მოსკვინმა ტულის ტრეკზე პირადი რეკორდი დაამყარა. კარგი იქნებოდა, მისთვის მიებაძათ 24 წლის მოსკოველს ვ. კუზნეცოვს და მინსკელ ვ. ბიკოვს, მაგრამ ისინი მომავალი გამოსვლებისთვის ინახავდნენ თავს. საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის კი ამ გზით ვერ მოემზადები.

ახალგაზრდა საბჭოთა მრბოლელმა ვაჟებმა მაგალითი უნდა აიღონ 19 წლის ლენინგრადელ გ. ცარიოვასგან. იგი მეორე წელია ტრეკზე გამოდის. ტულის ასპარეზობაში ცარიოვამ ერთბაშად ორ მსოფლიო ექს-ჩემპიონს მოუგო სპრინტში — ტულელ ვ. სავინას (ლაპშინას) და ხარკოველ ი. კირიჩენკოს.

შეჯიბრება დამთავრდა. შემდეგ სტარტს უძლიერესი საბჭოთა ველოსიპედისტები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან (ეს შეჯიბრება აგვისტოს თვეში ჩატარდება ბრნოში), უცხოეთში აიღებენ. ივნისის ბოლოს ისინი ჩაებმებიან „გდრ-ის დიდი პრიზის" (ლაიპციგსა და ბერლინში) და „კოპენჰაგენის დიდი პრიზის" გათამაშებაში.

ფავორიტი... IV ადგილზე

მესტენდურეთა ტურნირი ამიერკავკასიის სამხედრო-სამონადირო საზოგადოების სასროლეთზე ჩატარდა. პროგრამაში შედიოდა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე სროლა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ლოკომოტივის", „ბურევესტნიკის" და „განთიადის" ნაკრები გუნდები. სხვა სპორტსაზოგადოებებში გუნდების დაკომპლექტებისთვის არ იზრუნეს.

სროლის ორივე სახეობის კომპლექსში საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა „ბურევესტნიკმა". II ადგილზეა „ლოკომოტივი", III — „განთიადი".

ადგილიდან სროლაში პირველობა წილად ხვდა „ბურევესტნიკის" კოლექტივს. II ადგილი დაიკავა „განთიადმა".

მრგვალ სტენდზე სროლაში ორმა გუნდმა — „ლოკომოტივმა" და „განთიადმა" ერთნაირი შედეგები აჩვენეს (333 დაზიანებული სამიზნე 400-დან). მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი სერია დანიშნა. აქ იმარჯვეს რკინიგზელებმა და პირველობა მოიპოვეს.

ადგილიდან სროლაში პირადი პირველობა მოიგო სპორტის ოსტატმა ა. ბუკიამ („ბურევესტნიკი"), რომელმაც 181 ქულა მოაგროვა 200-დან. გამარჯვებულს 8 ქულით ჩამორჩა „ლოკომოტივის" წარმომადგენელი ვ. ალავერდოვი. III ადგილი დაიკავა ახალგაზრდა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა თ. იმნაიშვილმა („ბურევესტნიკი"), რომელმაც დამატებით სერიაში მოუგო გამოცდილ ზ. მაჩხანელს („ლოკომოტივი").

მრგვალ სტენდზე სროლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, სპორტის ოსტატმა ტ. ქღენტმა („ლოკომოტივი") — 178 ქულა 200-დან. II ადგილზეა სპორტის ოსტატი კ. კლდიაშვილი („ბურევესტნიკი"), III — ა. ოლენინი („ლოკომოტივი").

ჯ. მოწონელიძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ბუკია ცეცხლის ხაზზე.

ფოტო ჯ. ხუბუასი.



მეჭურნეებმა ჩაკბერეს, მედ... ლემაც დოლს შემოჰკრა და ქარ... თული საჭიდაოს ნაცნობმა ჰანგებმ... სარბიელზე მოუხმო პირველ წყვილ... რომელსაც უნდა გაეხსნა საქართველო... პროფკავშირთა V სპარტაკიადის პრო... გრამით გათვალისწინებული ტურნირ... ქართულ ჭიდაობაში. საგარეჯოში ს... ასპარეზოდ 5 საზოგადოების 40-მ... სპორტსმენმა მოიყარა თავი. აქ იყვნ... „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „ბუ...

სპარტაკიადის დღიური

ფეხბურთელებმა დაამთავრეს შეჯიბრება. I ადგილისთვის გამართულ ფინალურ მატჩში თბილისელებმა დაამარცხეს აფხაზეთის ნაკრები — 1:0. ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები III ადგილისთვის იბრძოდნენ. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ (1:1), დამატებით დროში კი წარმატება წილად ხვდათ ქუთაისელებს— 2:1. V ადგილისთვის: ფოთი — გორი 4:2, VII ადგილისთვის: აჭარა — რუსთავი. რუსთაველები სათამაშოდ არ მოვიდნენ და გამარჯვება, ცხადია, აჭარის ნაკრებს მიეკუთვნა.

ჩოგბურთში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა, 4. ქუთაისი, 5. გარდაბანი, 6. რუსთავი, 7. ფოთი, 8. ჭიათურა.

მოკრივეთა გუნდური ასპარეზობის შემდეგ საპრიზო სამეულში მოხვდნენ: 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. ქუთაისი.

ნიჩბოსნობაში პირველ სამ ადგილზე გავიდნენ: 1. ფოთი, 2. აჭარა, 3. თბილისი.

მოფარიკავეთა შეჯიბრებაში საერთო გუნდური I ადგილი მოიპოვა თბილისის ნაკრებმა. II ადგილზეა ქუთაისის, III — რუსთავის გუნდი. პირადი შეჯიბრებების საპრიზო სამეულები: რაპირა. გ ო გ ო ნ ე ბ ი. 1. დ. ბუხრაშვილი, 2. ც. თანანაშვილი (ორივე — თბილისი), 3. ნ. ლაბაძე (რუსთავი); ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. 1. ტ. ნოზაძე (რუსთავი), 2. ნ. ცქიტიშვილი (თბილისი), 3. გ. კუცია (აფხაზეთი); დაშნა. 1. მ. ბერიძე, 2. ა. გვასალია (ორივე — თბილისი), 3. დ. ფერიძე (ქუთაისი); ესპადრონი. 1. თ. ესართია, 2. რ. ლომინაძე, 3. ა. ლომიძე (სამივე — თბილისი).

კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად იასპარეზეს: პირველ ჯგუფში 6 გუნდი იყო, მეორეში — 18. I ჯგუფში უძლიერესის სახელი მოიპოვა თბილისის გუნდმა, II ადგილზეა აფხაზეთი, III — მახარაძე. შარშანდელი ჩემპიონები — ქუთაისელები IV ადგილით დაკმაყოფილდნენ. II ჯგუფის გუნდებში პირველობა მოიპოვა წყალტუბოს ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ ონელები, III — ჭიათურელები. პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: დ. ლოლაძე (ზესტაფონი), ნ. ჯოხაძე (ონი), ... ლევიძე (ქუთაისი), ს. ბერიშვილი (წ... თელწყარო), მ. გორგიძე (ქუთაისი), ... მაისურაძე, ს. შახბაზოვი, ვ. აკოფოვ... თ. ფარჯანაძე, თ. გელაშვილი (ყვე... — თბილისი).

ბაზას მნიშვნელობა რომ აქვს...

იმის გამო, რომ „სპარტაკის" აუზში ივლისში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზის გათამაშება ეწყობა და აუზის რემონტი მიმდინარეობს, მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის მოცურავეთა ტურნირი ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზში გადაიტანეს. ამას სპორტსმენებისთვის ხელი უნდა შეეწყო მაღალი შედეგების მოპოვებაში, მაგრამ ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლთაგან ბევრმა როდი გაგვახარა: რამდენიმე სპორტსმენმა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი მოიპოვა, მაგრამ სპორტის ოსტატის შედეგს ვერავინ შესწვდა (ოსტატებიდანაც კი). მართალია, ახალი კლასიფიკაციით ოსტატის ნორმატივის შესრულება გაძნელდა, მაგრამ კლასიფიკაციის გართულებას ხომ რეალური საფუძველი აქვს. ეს სსრ კავშირის მოცურავეების ტექნიკური დონის ზრდას მოითხოვს, რაც ჩვენში ჯერჯერობით არ ჩანს და უმთავრესად ბაზების ნაკლებობის გამო ფერხდება.

სპორტსმენთა აღზრდაში ბაზას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩვენი სინამდვილიდანაც დასტურდება. ვიდრე ბათუმში აუზი (გათბობით) დაიწყებდა მუშაობას, აჭარის გუნდები აფხაზეთის სპორტსმენებთან უმეტესად აგებდნენ (სოხუმში დოსააფის აუზი სრულწლიურად არა, მაგრამ გარკვეული პერიოდის მანძილზე მაინც მუშაობდა). ახლა აჭარის გუნდში ბევრი ნიჭიერი ჭაბუკი და გოგონაა, რომლებმაც აფხაზეთის სპორტსმენებს 5000-ზე მეტი ქულით აჯობეს და საერთო II ადგილი მოიხვეჭეს.

კიდევ ერთი ფაქტი: ჭიათურა რუსთავზე პატარაცაა და, რა თქმა უნდა, ქუთაისზეც, მაგრამ აქ ორიოდე წლის წინ აუზის მწყობრში ჩადგომამ ის გააკეთა, რომ „შავი ოქროს" ქალაქის ნორჩებმა ქუთაისელი მოცურავეებიც დაჯაბნეს და რუსთაველებიც. ისიც უნდა ითქვას, რომ ბაზას გამოყენებაც უნდა: აუზი კარგა ხანია ტყიბულელებსაც აქვთ, გუნდი კი რატომღაც არ გამოგზავნეს.

თბილისელების უპირატესობა აშკარა იყო. პროგრამის 28 სახეობიდან მათ 19 მოიგეს და სულ 61 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. განსაკუთრებით ისახელა თავი ი. ლისეცკიმ (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ლ. იოაკიმიდი), რომელმაც 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვისას ჭაბუკთა ორი რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა — 800-მეტრიან მონაკვეთზე 10.16,1 აჩვენა, 1500 მეტრზე — 19.21,2. ამ ტურნირში ჭაბუკთა კიდევ ერთი რეკორდი გაუქმდა: თბილისელთა კვარტეტმა (თხორი, გონჩაროვი, გევორქოვი, გრიგორაშჩენკო) 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში 4.08,4 აჩვენა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ი. ზოტოვამ (ქუთაისი) მოიგო 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა, აგრეთვე, 200 მეტრზე კომპლექსურ... შეჯიბრება, მაგრამ სამივეჯერ საშუალ... შედეგით დაკმაყოფილდა. სსრ კავშირ... ჩემპიონმა თ. ლეკვეიშვილმა 100 მეტ... რზე გულაღმა ცურვაში თავის საუკეთე... სო მაჩვენებელს 7 წამზე მეტი დააკლ... (ოსტატობის კანდიდატის შედეგი მხ... ლოდ მან აჩვენა), 200-მეტრიან დის... ტანციაზე კი აღარ გამოვიდა, ვინაიდ... ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრია და ს... წვრთნელად გაემგზავრა.

ჯ. ჩაბაკაურმა (თბილისი) ამას წ... ნათ ბათუმში 100 მეტრზე გულაღ... ცურვაში 10 წლის წინათ დამყარებ... ლი რეკორდი განაახლა, ამიტომ ფი... რობდნენ, რომ ახლა იგი თავისივე რ... კორდზე მიიტანდა იერიშს, მაგრ... როგორც ჩანს, სპორტსმენს ამჯერ... სამისო ძალა არ აღმოაჩნდა.

ო. ივლოშვილი.

თბილისელებმა ე. ალექსიძემ და ე. ტოგანმა მხატვრულ ტანვარჯიშში ასპარეზობა დაამთავრეს, მაგრამ დარბაზს არ მოშორებიან: ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მეტოქეთა — მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეთა გამოსვლებს. მათ შედეგებზე ბევრად იყო დამოკიდებული, მეგობრებს რომელი ადგილები დარჩებოდათ.

ს უ რ ა თ ზ ე: ე. ალექსიძე და ე. ტოგანი.

ფოტო მ. დათიკაშვილისა.

გაგვახარეს

მძლეოსანთა შეჯიბრებაში მოსწავლეებმა კარგი მოსავალი მოიმკეს: გოგონებისა და ჭაბუკების 6 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. რეკორდსმენებიდან მხოლოდ ერთი იყო თბილისელი — ს. ხრიპკო (მწვრთნელი ლ. სტეპურა), რომელმაც საშუალო ასაკის გოგონათა ხუთჭიდში თავისივე რესპუბლიკურ რეკორდს თითქმის 100 ქულა მიუმატა — 4117 ქულა დააგროვა. სხვა რეკორდები ჩამოსულ სპორტსმენებს ხვდათ. ეს ადასტურებს, რომ რესპუბლიკაში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ოღონდ საჭიროა მათი მოძებნა და აღზრდა.

ქების ღირსია ბათუმელი მწვრთნელი კ. გიორგაძე. იგი მოსწავლეთა შორის გულმოდგინედ არჩევს პერსპექტიულ სპორტსმენებს, გადასცემს მათ მთელ თავის ცოდნას. გიორგაძეს განსაკუთრებით მრავალჭიდელებთან მუშაობა უყვარს და უფასდება კიდეც: ამ ტურნირში მისმა ორმა აღსაზრდელმა იმარჯვა — ბათუმის მე-20 სკოლის მეათეკლასელმა ვ. ფედოსეენკოვამ უფროსი ასაკის გოგონათა ხუთჭიდში დაამყარა რეკორდი (3985), ხოლო მე-5 სკოლის მეცხრეკლასელმა ს. აბოიანმა— რვაჭიდში — 5174 ქულა!

არც ფოთელი მწვრთნელის გ. თალაკვაძის აღსაზრდელმა ლ. ფარცვანიამ შეირცხვინა თავი. მე-2 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა გოგონამ ჯერ 400 მეტრზე რბენაში აჩვენა წლეულს რესპუბლიკაში საუკეთესო შედეგი — 58,6 (ეს ზუსტად 1 წამით სჯობს უფროსი ასაკის გოგონათა რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც ქუთაისელ ნ. შიმკოვას ეკუთვნოდა), შემდეგ კი ხუთჭიდში შეჯიბრების დროს 100 მეტრზე თარჯრბენში დაამყარა რეკორდი — 15,4. ამ მიღწევამ მხოლოდ ერთ დღეს გაძლო: იგი 0,1 წამით გააუმჯობესა ქუთაისის მე-10 სკოლის X კლასის მოსწავლემ რ. ჩუბინიძემ (მწვრთნელი დ. ეფრემაშვილი).

როგორც ჩანს, სამხტომში მსოფლიო რეკორდსმენის, მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის ვ. სანეევის მწვრთნელი ა. კერსელიანი რეკორდსმენის ცვლას აქედანვე ამზადებს. მისმა მოსწავლეებმა ამ შეჯიბრებაშიც ისახელეს თავი: ა. შაბანოვმა მოიგო სიგრძეზე ხტომა (665) უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის და სამხტომი (14,44). საშუალო ასაკის ჯგუფში მოასპარეზე ლ. ხლიბოვმა 660 სმ აჩვენა და 22 სმ-ით აჯობა თბილისელ ა. ვლასოვს, რომელთანაც სამხტომში მხოლოდ 10 სმ წააგო — 13,74 მ.

შეჯიბრების დროს ბევრმა პირადი შედეგი გააუმჯობესა. რაც მთავარია, მისასალმებელია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ამჯერად ხარჯებს არ მოერიდა და რაც შეიძლება ბევრ სპორტსმენს მისცა სარბიელზე გამოსვლის საშუალება. შედეგი: ტურნირში 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. ბევრის მონაწილეობამ კი მრავალი ნიჭიერი ათლეტი გამოავლინა.

კარგ შედეგებს ხელი იმანაც შეუწყო, რომ სტადიონის დირექციამ დროულად მოაწყო ბილიკები, სექტორები. სამაგიეროდ, უნდა ვუსაყვედუროთ ტიტულიან მსაჯებს, რომლებმაც ამ შეჯიბრებაზე მოსვლითა და ბავშვების დახმარებით თავი არ შეიწუხეს. ტურნირის მთავარ მსაჯს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს ა. ლაკერბაის, რომელმაც ასპარეზობის მაღალ დონეზე გამართვისთვის ძალღონე არ დაიშურა, გუნდების წარმომადგენელთა გამოყენება დასჭირდა.

უხეირო შედეგებიც იყო: საგარეჯომ გამოგზავნა მოსწავლე მ. კირაკოზიშვილი, რომელმაც სიგრძეზე ხტომაში ხლიბოვთან 305 სმ წააგო. სიღნაღელი ჭაბუკი ჰ. სიფრაშვილი 445 სანტიმეტრზე გადახტა, გორელი თ. ისმაილოღლი — 436 სმ-ზე. 16 წლის მარნეულელმა გ. პროკოპოვმა 100 მეტრის გარბენას 15,8 წამი მოანდომა, მისმა თანაგუნდელმა ჯ. ხარატიშვილმა — 17,1. კასპელმა თ. ბეგლარიშვილმა ბადრო 20,52 მეტრზე გადააგდო. ამ სახეობაში ვერც გამარჯვებული, ყაზბეგელი ვ. ფიცხელაური დაიქადნის მაღალი შედეგით (40,80 მ). ტყორცნებში საერთოდ მცირე იყო მოასპარეზეთა რიცხვი.

როგორც საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. გაგუამ გვითხრა, ეს იმითაა გამოწვეული, რომ რაიონებში (და თბილისში...) სათანადო შუბები და ბადროები ... იშოვება.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ: I ჯგუფში — თბილისი... (საბოლოოდ მოაგროვა 39.473 ქულა), აფხაზეთის (31.090), აჭარის (28.568), ქუთაისისა (27.227) და სამხრეთ ოს... თის (11.490) გუნდები. ადგილებ... ამ თანმიმდევრობით განაწილდა.

II ჯგუფში ქალაქებისა და რაიონე... ბის 20 გუნდი გამოდიოდა. აქ ყველ... აჯობა ფოთის ნაკრებმა — 18.09... მომდევნო 4 ადგილი წილად ხვდათ მ... ხარაძის (13.564), ონის (10.046), სამტრედიისა (9.425) და ქარელ... (8.504) გუნდებს.

ო. გელაშვილი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ტ. სერდიუკო... (მარცხნივ) და ლ. პაპოკა ფინიშ... თან.

ფოტო ა. კაკაბაძისა.



„კოლმეურნემ" პირადი ანგარიში გახსნა

რევესტნიკის", „განთიადისა" და „კოლმეურნის" საუკეთესო ათლეტები — ჭიდაობის ამ ეროვნული სახეობის უკვე ცნობილი ფალავნები და უფრო ახალგაზრდებიც, რომლებიც ყველა შეხვედრაში თავდაუზოგავად იბრძოდნენ, ხშირად ვეტერანებს არც ტექნიკაში ჩამორჩებოდნენ, ჟანითა და გამძლეობით კი ზოგიერთებს სჯობდნენ კიდეც.

რესპუბლიკაში ქართული ჭიდაობის განვითარებისთვის ყველაზე მეტად „კოლმეურნე" რომ ზრუნავს, ეს ამ შეჯიბრებამაც დაადასტურა. ამ საზოგადოებამ შესანიშნავად მომზადებული გუნდი გამოიყვანა, რომლის წევრებმა 8 წონითი კატეგორიიდან ხუთში პირველობა მოიგეს და საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ყველას აჯობეს — 46 ქულა მოაგროვეს. II ადგილი წილად ხვდათ „განთიადის" (39 ქულა), III — „ბურევესტნიკის" (35) წარმომადგენლებს.

პირადი პირველობიდან რამდენიმე შეხვედრას შევეხებით. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა გ. გიორგაძის („კოლმეურნე", უმჩატესი წონა), რ. ქაიხოსროშვილის („ბურევესტნიკი", საშუალო), თ. პაპუაშვილის („განთიადი", მსუბუქი) და ნ. ყირიმელის („კოლმეურნე", ქვემსუბუქი) გამოსვლებმა.

გიორგაძემ ოთხჯერ იჭიდავა. ერთი შეხვედრა ქულებით მოიგო, სამიც — წმინდად: დ. ბესტაევი („ბურევესტნიკი") 4 წუთსა და 10 წამში გააკრა ხალიჩას, ტ. სისაურის („ლოკომოტივი") დამარცხებისთვის 5 წამით მეტი დასჭირდა, განთიადელი გ. ლომიძე კი ზედ საფინალო სასტვენის წინ დასცა. მხოლოდ გ. ჯავახიშვილი („სპარტაკი") გადაურჩა გიორგაძესთან წმინდად წაგებას. შეხვედრა ჯავახიშვილს რომ მოეგო, პირველობის ბედიც მის სასარგებლოდ გადაწყდებოდა, ვინაიდან მან ლომიძის, ბესტაევისა და სისაურის წმინდად დამარცხებისთვის უფრო ნაკლები დრო დახარჯა — სულ 5 წუთი და 47 წამი.

შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა პირველთანრიგოსანმა გ. ბეინაშვილმა („კოლმეურნე"), რომელმაც მჩატე წონაში ჩემპიონობა სპორტის ოსტატ დ. დორეულს („განთიადი"), როგორც იტყვიან, კბილებით გამოგლიჯა — დაძაბულ ბრძოლაში ქულებით სძლია იგი. აღსანიშნავია ბეინაშვილისა და გ. ფარადაშვილის („ლოკომოტივი") ჭიდილიც. ბეინაშვილმა ხერხიანად იჭიდავა და ორთაბრძოლა 3 წუთზე ადრე დაამთავრა.

მსაჯებმა პირველი წრის შემდეგ ამ წონაში შეჯიბრებიდან მოხსნეს გ. იოსებაშვილი („ბურევესტნიკი"), როგორც მცირეწლოვანი (იგი 17 წლისა აღმოჩნდა).

თ. პაპუაშვილმა („განთიადი") ჩემპიონობა დამსახურებულად მოიპოვა. მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია, ჯ. გუთნიაშვილის („კოლმეურნე") დამარცხებისთვის კი 15 წამი დასჭირდა. ეს კარგა ხანს სარეკორდო დრო იყო. მართალია, ამ შედეგის გაუმჯობესება შემდეგშიც ვერავინ შეძლო, მაგრამ გამეორებით კი გაიმეორა: განთიადელმა მძიმეწონოსანმა ა. შაშვიაშვილმა ასევე 15 წამში წააქცია გ. ონიანი („ლოკომოტივი"). ამ უკანასკნელს წმინდად მოუგეს გ. ონაშვილმა („კოლმეურნე") და ნ. ექვთიმიშვილმაც („ბურევესტნიკი"). ონიანის ბედი გაიზიარა სპარტაკელმა ფ. რეხვიაშვილმაც — იგი სამივე პრიზიორთან წმინდად დამარცხდა სულ 4 წუთსა და 35 წამში.

გაგაცნობთ სპარტაკიადის პრიზიორებს:

უმჩატესი წონა. გ. გიორგაძე („კოლმეურნე"), გ. ჯავახიშვილი („სპარტაკი"), დ. ლომიძე („განთიადი");

მჩატე. გ. ბეინაშვილი („კოლმეურნე"), დ. დორეული („განთიადი"), თ. ბახტაძე („სპარტაკი");

ქვემსუბუქი. ნ. ყირიმელი („კოლმეურნე"), ი. იმერლიშვილი („ბურევესტნიკი"), გ. გოგილაშვილი („სპარტაკი");

მსუბუქი. თ. პაპუაშვილი („განთიადი"), დ. ხორბალაძე („ბურევესტნიკი"), ჯ. გუთნიაშვილი („კოლმეურნე");

ქვესაშუალო. გ. ბალხამიშვილი („კოლმეურნე"), ა. იკაევი („განთიადი"), ვ. ბორჩაშვილი („ბურევესტნიკი");

საშუალო. რ. ქაიხოსროშვილი („ბურევესტნიკი"), თ. გავარდაშვილი („განთიადი"), ნ. ახალაური („სპარტაკი");

ქვემძიმე. შ. ჩოჩიშვილი („ბურევესტნიკი"), რ. მიხანაშვილი („განთიადი"), ჯ. გოგიძე („კოლმეურნე");

მძიმე. გ. ონაშვილი („კოლმეურნე"), ა. შაშვიაშვილი („განთიადი"), ნ. ექვთიმიშვილი („ბურევესტნიკი").

რ. მაღრაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

საგარეჯო.

ასპარეზობენ სტუდენტები

უკეთესად...

ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მატჩის შემდეგ საქართველოს სპორტსმენებმა მხოლოდ ერთი კვირით შეისვენეს და თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე საშინაო დავა გამართეს უნივერსიადის პროგრამით. სტუდენტებმა ბევრ სახეობაში გაცილებით უკეთეს შედეგებს მიაღწიეს, ვიდრე რესპუბლიკების მატჩში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი ნაკრების დაკომპლექტებაში დაშვებულ შეცდომებს.

ტურნირში 11 უმაღლესი სასწავლებელი ჩაება, საპრიზო ადგილებისთვის კი უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდები იბრძოდნენ. საბოლოოდ, 233 ქულით ყველას აჯობა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა. ეს 70 ქულით მეტია, ვიდრე მეორე პრიზიორმა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დააგროვა. III ადგილისთვის ბრძოლაში უნივერსიტეტელებმა ოდნავ სძლიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებს. ეს უკანასკნელნი უნივერსიტეტის ძლიერ კოლექტივს უგებდნენ კიდეც, მაგრამ ბირთვის მკვრელი ქალები შესაკრებ ადგილზე დროულად არ გამოცხადდნენ. სასჯელი — მათი შედეგები გუნდს არ ჩაეთვალა.

უსუსურად გამოვიდნენ გორის (20), სოხუმის (19) და ბათუმის (17) პედინსტიტუტების მძლეოსნები.

გ. ოთარაშვილი.

ტექნიკური შედეგები

ქალები. რბენა. 100 მ. ვ. ქუთათელაძე (სამედ. ინს.)—12,3, ნ. ლომიძე (თსუ) — 12,7, დ. სუბოტინა (ფიზკ. ინსტ.) — 12,8; **200 მ.** ქუთათელაძე — 25,4, ტ. სერდიუკოვა (ფიზკ. ინსტ.)—26,5. ლ. კორკოტაძე (სპი)—26,5; **400 მ.** სერდიუკოვა — 59,3, ლ. პაბოკა (ფიზკ. ინსტ.) — 59,6, კორკოტაძე — 59,9; **800 მ.** პაბოკა — 2.27,8, ლ. ხელაძე (ბათუმის პედ. ინსტ.) — 2.29,4, ლ. მორჩილაძე (გორის პედ. ინსტ.) — 2.31,0; **1500 მ.** ე. ბაგიაევა (ცხინვალის პედ. ინსტ.) — 5.21,6, ხელაძე — 5.24,4, ა. კაზაკოვა (ფიზკ. ინსტ.) — 5.26,0; **100 მ თარჯრბენი.** ლ. შუმილინა — 15,7, თ. ეპიფანოვა (ორივე — თსუ) — 16,1, თ. რეფერდი (სპი, პირადი) — 16,3; **200 მ თარჯრბენი.** ლ. პრივოტოროვა (ფიზკ. ინსტ., პირადი) — 32,5, სუბოტინა — 33,8, ლ. ტროფიმენკო (თსუ) — 34,5; **ესტაფეტა 4×100 მ.** თსუ — 51,3, თბილისის პედ. ინსტ. — 55,2; **4×200 მ** — ფიზკ. ინსტ. — 1.51,6, სპი—1.58,7; **სიგრძეზე ხტომა.** ც. ჩოლიაშვილი (სას.-სამ. ინსტ.) — 561, ლ. გუკი (სპი) — 554, რეფერდი — 539; **სიმაღლეზე ხტომა.** ჩუბინიძე (ფიზკ. ინსტ.) — 160, ლ. ილიუშინა (სოხუმის პედ. ინსტ.) — 150, ვორონკოვა (ფიზკ. ინსტ.) — 145; **ბადროს ტყორცნა.** ც. ჯაფარიძე (სას.-სამ. ინსტ.) — 46,02, ვ. კომაროვა (ფიზკ. ინსტ.) — 43,96, გ. ბერაია (სპი) — 40,72; **შუბის ტყორცნა.** ც. ლიპარტელიანი (სას.-სამ. ინსტ.) — 49,90, დ. საბაური (სპი) — 42,64, თ. ხევსურიშვილი (ფიზკ. ინსტ.) — 41,10; **ბირთვის კვრა.** ლიპარტელიანი (პირადი) — 12,36, ქ. კახიშვილი (თსუ, პირადი)—12,18, ვ. თეთრაძე (სას.-სამ. ინსტ., პირადი) — 11,68; **ხუთჭიდი.** ვორონკოვა — 3937, გუკი — 3768, გ. გუდკოვა (თბილისის პედ. ინსტ.) — 2854.

ვაჟები. რბენა. 100 მ. გ. სტეპანოვი (ფიზკ. ინსტ.) — 10,8, ო. ბექაური (სპი) — 11,1, ე. გაბარაევი (თსუ) — 11,1; **200 მ.** სტეპანოვი — 22,3, გაბარაევი — 22,6, თ. აფხაზავა (სას-სამ. ინსტ.) — 23,1; **400 მ.** ბ. ასათიანი (პირადი) — 51,3, გ. შოშიაშვილი— 51,4, ა. ტეკტრემი (ყველა — სპი) — 51,8; **800 მ.** შოშიაშვილი — 1.57,0, ზ. ქავზინაძე (თსუ) — 1.57,1, გ. სტარიჩკოვი (ფიზკ. ინსტ.) — 1.57,2; **1500 მ.** ნ. დავიდენკო — 3.56,4. ი. სოვეტკინი (ორივე — ფიზკ. ინსტ.) — 4.02,8, ლ. ტიტოვი (სპი) — 4.04,5; **5000 მ.** დავიდენკო — 15.57,1, ვ. ვირჩენკო — 15.57,8, ა. მიქოიანი (ორივე — ფიზკ. ინსტ.) — 16.04,8; **10.000 მ.** ვირჩენკო — 32.56,6, ზ. წვენიაშვილი — 36.49,6, ი. პანკინი (ორივე — ფიზკ. ინსტ.) — 38.06,0; **8000 მ წინაღობებით.** ი. ცანავა (ფიზკ. ინსტ.) — 9.30,4, მიქოიანი — 9.38,2, წვენიაშვილი— 10.20,2; **ესტაფეტა 4×100 მ.** სპი — 44,2, ფიზკ. ინსტ. — 44,7, თსუ — 44,8; **4×400 მ.** სპი — 3.26,3, ფიზკ. ინსტ. — 3.30,1, თსუ — 3.45,0; **თარჯრბენი. 110 მ.** ზ. ალხანაიძე (სას-სამ. ინსტ.) — 15,5, ვ. ზაბოლოტნი (ფიზკ. ინსტ.) — 15,9, ლ. გუგეშაშვილი (სას-სამ. ინსტ.)— — 16,1; **200 მ.** ზაბოლოტნი — 26,3, ვ. ლანჩავა — 27,3, დ. ფრუიძე (ორივე — ქუთაისის პედ. ინსტ.) —27,8; **400 მ.** მ. ტულუში (ფიზკ. ინსტ.) — 57,0, დ. კორინევიჩი (სპი) — 1 წ., ა. ალექსეევი (ქუთაისის პედ. ინსტ.) — 1.00,9; **20 კმ სპორტული სიარული.** გ. მაკიევი (სპი)— 1:48.41,8, ო. დემეტრაშვილი (სას-სამ. ინსტ.) — 1:55.46,0, ა. ნეფარიძე (ფიზკ. ინსტ.) — 1:58.03,8; **ბირთვის კვრა.** ბ. ხარჩილავა (ქუთაისის პედ. ინსტ.) — 14,61, თ. ხმელიძე (სპი) — 14.27, გ. ხუციანიძე (ფიზკ. ინსტ.) — 14,00; **ბადროს ტყორცნა.** გ. გუდაშვილი (თსუ) — 58,10, ზ. დოლიძე — 45,32, ნ. ნაზღაიძე (ორივე — სპი) — 44,81; **შუბის ტყორცნა.** ვ. რიაბინკინი (ფიზკ. ინსტ.) — 62,80, ი. გიგაური (სამედ. ინსტ.) — 61,48, რ. ანგელოვი (სპი) — 60,42; **უროს ტყორცნა.** ფ. ჩერკაშინი — 56,36, ა. ბაგაური — 54,55, ი. ჩერკაშინი (ყველა — სპი) — 53,48; **სიგრძეზე ხტომა.** ალხანაიძე — 718, ი. ჩირიკაშვილი — 715; ვ. ჩუკანოვი (ორივე — თსუ) — 709; **სიმაღლეზე ხტომა.** ნ. საგანელიძე—205, ო. ჩახუნაშვილი (ორივე—სპი) — 195, ო. ყიფიანი (თსუ) — 190; **ჭოკით ხტომა.** მ. თათევოსიანი (სას-სამ. ინსტ.) — 420, ა. ვიბლიანი (თსუ) — 410, ბ. პისარევი (სოხუმის პედ. ინსტ.) — 400; **სამხტომი.** ა. ჩერნიშოვი (სამხატ. აკად., პირადი) — 14,96, რ. გიორგობიანი (ფიზკ. ინსტ., პირადი) — 14,91, ჩუკანოვი — 14,80; **ათჭიდი.** ტულუში — 5946, ა. კუცოვი (სპი) — 5875, ა. ტყემალაძე (ფიზკ. ინსტ.) — 5515.

ნერვების როლი

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადის უფროსი მსაჯი კალათბურთში ვ. გოლოვანოვი სიტყვაძუნწი გამოდგა: „თბილისის სპორტკლუბ „განთიადის" და ნავთობისა და ქიმიის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ვაჟთა გუნდების მატჩში მსაჯობა იოლი არ იყო, მაგრამ სასიამოვნო კი გახლდათ".

მართლაც, ეს გუნდები ერთმანეთის ღირსეული მეტოქენი იყვნენ. მე-13 წუთი იღბლიანი გამოდგა ნავთობისა და ქიმიის მრეწველობის მუშაკებისთვის: ისინი დაწინაურდნენ — 18:16.

ამაში დიდი წვლილი მიუძღვის 22 წლის ქუთაისელ კალათბურთელს გ. ჭეიშვილს. მაგრამ „განთიადის" გუნდში მას კარგი „პარტნიორი" გამოუჩნდა: მეტოქეთა კოლექტივის ბომბარდირი, ზეინკალი ვ. პრონჩენკო. შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთი რომ რჩებოდა, მისი წყალობით „განთიადი" სულ 6 ქულას აგებდა, მაგრამ ბოლო წუთებზე გუნდს ნერვებმა უმტყუნა. 68:57 — გაიმარჯვეს ნავთობისა და ქიმიის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებმა.

სამაგიეროდ, ქალთა შეჯიბრებაში უფრო მეტი გამძლეობა გამოიჩინა თბილისის სპორტკლუბ „უშბის" 9 კალათბურთელმა (ესენი არიან: ნ. მეტრეველი, მ. ქობულია, თ. საბადაშვილი, ა. ვანიანი, მ. კვაჭაძე, ლ. მეტრეველი, ი. ვაჩნაძე, ლ. დვუხრეჩენსკაია, ი. მიხაილიუკი). ეს სპორტსმენები, შეიძლება ითქვას, ორ ფრონტზე იბრძოდნენ: ტანსაცმელიც არ გამოუცვლიათ, ისე წავიდნენ ერთი შეხვედრიდან მეორეზე — დილით ქალაქის პირველობაში დაამარცხეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, ერთი საათის შემდეგ კი ქვანახშირის მრეწველობის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებს მოუგეს — 62:17. მათვე გამარჯვება ხვდათ საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის (70:42), აგრეთვე, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა (55:24) პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების გუნდებთან.

ფინალში „უშბამ" დაამარცხა ნავთობისა და ქიმიის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გუნდი — 50:41.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ამ უკანასკნელთა გუნდებმა.

ვ. ბუაია.

უნდა დავფიქრდეთ

Ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, — აი, რა შეიძლება ითქვას საშუალო და სპეციალური სასწავლებლების V რესპუბლიკური სპარტაკიადის მძლეოსნურ შეჯიბრებაზე. ეს ტურნირი ბათუმში ჩატარდა, გამარჯვება კი თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წარმომადგენლებს ხვდათ — 8.138 ქულა. მათ თითქმის ორჯერ ჩამოიტოვეს სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის კოლექტივი. 3261 ქულა აქვს მესამე პრიზიორს — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდს.

მოკლედ გაგაცნობთ შედეგებს. გამარჯვებულები მანქანათმშენებლობის ტექნიკუმიდან: გ. ისლამოვა (100 მ — 13,1), მ. აბრამიშვილი (ბირთვის კვრა — 11,23), ა. მატუსოვა (ბადროს ტყორცნა — 38,75) და რ. დემჩენკო (400 მ — 1.00,4, 800 მ — 2.31,4). ამ გუნდს ერთი გამარჯვება „წაართვა" სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის სიგრძეზე მხტომელმა ს. დიკანევამ (481).

ჭაბუკთა შეჯიბრებაშიც მანქანათმშენებლებმა გამოიჩინეს თავი. ორი გამარჯვება იზეიმეს რ. ბუკიამ (100 მ — 11,5, 200 მ — 24,2) და ი. პაპიაშვილმა (1500 მ— 4.28,2, 5000 მ — 17.31,3). ბადროს ტყორცნაში უძლიერესი იყო ა. ჩადუნელი (35,43). ორი გამარჯვება მოიპოვა სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის მხტომელმა ი. პაპიდიმ (სიგრძე — 625, სამხტომი — 13,38). მისი თანაგუნდელი ნ. ბრიანცევი პირველი იყო 400 მეტრზე რბენაში — 54,9. შუბის ტყორცნა მოიგო თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტუდენტმა ა. ბერიკაშვილმა — 48,10.

კარგად გამოვიდნენ ფოთელი მძლეოსნები კ. გაბედავა და თ. შუბლაძე (ორივე — ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმი): პირველმა გაიმარჯვა ბირთვის კვრაში — 12,60 მ, მეორემ — სიმაღლეზე ხტომაში — 175 სმ.

დასანანია, რომ ამ შეჯიბრებამ სულ 7 მეორე თანრიგის შედეგი მოგვცა. ვფიქრობთ, დროა საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ იმსჯელოს მძლეოსნობის განვითარების საკითხზე. ალბათ კარგ ნაყოფს გამოიღებდა, დიდ ტექნიკუმებს მძლეოსნობაში სპეციალური მწვრთნელები რომ ჰყავდეთ.

ვ. ბუკინი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

• • •

სურათზე: 5000 მეტრზე რბენის მომენტი.

ფოტო გ. გამსახურდიასი.

კიდევ სამ სახეობაში

„განთიადის" III საოლქო პროფკავშირულ სპარტაკიადაში, როგორც ვიუწყებოდით, მუშა-სპორტსმენები ერთმანეთს სპორტის შვიდ სახეობაში ეჯიბრებოდნენ. ოთხ სახეობაში (ჭადრაკი, შაში, სროლა, მაგიდის ჩოგბურთი) გამარჯვებულთა შესახებ ადრე ვწერდით.

კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობაში I ადგილი დაიკავა ქვაისის მაღაროთა სამმართველოს გუნდმა, II ადგილზეა ელექტროვიბრომანქანის ქარხნის ნაკრები, III — სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი. ქალთა გუნდებში უძლიერესი იყო ელექტროვიბრომანქანის ქარხნის ნაკრები. II ადგილი წილად ხვდათ სამკერვალო ფაბრიკის, III — მომინანქრებული სადენის ქარხნის წარმომადგენლებს.

ფრენბურთელ ვაჟთა გუნდებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ქვაისის მაღაროთა სამმართველო, 2. ელექტროვიბრომანქანის ქარხანა, 3. სამკერვალო ფაბრიკა; ქალებში: 1. „სპარტაკი", 2. სამკერვალო ფაბრიკა, 3. მომინანქრებული სადენის ქარხანა.

თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: ნ. ფლიევი, გ. გაგიევი, მ. ფლიევი, რ. გერგაულოვი, ბ. ცხოვრებოვი, გ. ბეთეევი, თ. სანაკოევი, გ. კოჩიევი. ქვემძიმე და მძიმე წონებში მონაწილენი არ გამოსულან.

ამრიგად, საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს ცხინვალის ელექტროვიბრომანქანის ქარხნის სპორტსმენებმა. II ადგილზე არიან სამკერვალო ფაბრიკის, III — მომინანქრებული სადენის ქარხნის წარმომადგენლები.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუნდები, გოლები, ქულები

ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა მოათავეს გათამაშების 13 ტური, ზოგიერთებს კი მე-14 ტურის მატჩებიც აქვთ ჩატარებული.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი თამაში შედგა 16 ივნისს I ქვეჯგუფში. საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო ორი ლიდერის — კიევის „დინამოსა“ და ცსკა-ს შეხვედრა ლუჟნიკის სტადიონზე. მატჩი ფრედ დამთავრდა (0:0), მაგრამ რამდენადაც კიეველებს I წრის მატჩი თავიანთ მინდორზე მოგებული ჰქონდათ (1:0), მათ ეს ფრე სავსებით აძლევდა ხელს. ჩემპიონმა თავისი მთავარი კონკურენტისგან აიღო 3 „ოქროს ქულა“.

I ქვეჯგუფის ყველა სხვა თამაში შედეგიანი აღმოჩნდა. „ნეფტჩიმ“ მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლო შინ აეღო 2 ქულა „ურალმაშთან“ შეხვედრაში — 1:0. ეს გოლი გაიტანა ბაქოელთა ახალგაზრდა ფორვარდმა სტეკოლნიკოვმა.

სულ უფრო უარესდება „კრილია სოვეტოვის“ სატურნირო შესაძლებლობანი. კუიბიშეველებმა განვლილ ტურში ერევანში ითამაშეს და კვლავ დამარცხდნენ — 1:3. ანგარიში გახსნა „არარატის“ ნახევარმცველმა კოვალენკომ, რასაც მოჰყვა კაზარიანის მეორე ბურთი. სტუმრებმა, მართალია, მალე გაქვითეს ერთი გოლი (არიაპოვი), მაგრამ შესვენების შემდეგ „არარატი“ კვლავ დაწინაურდა (ზანაზანიანი).

6 გოლი იქნა გატანილი ლუგანსკის სტადიონზე, სადაც „ზარია“ როსტოვის არმიელებს შეხვდა. ანგარიში 4:2 მასპინძელთა სასარგებლოდ შეიძლება სიურპრიზად ჩაითვალოს. „ზარიამ“ გაიტანა 3 გოლი: 2 შილინმა, 1 სემიონოვმა და ერთიც — როსტოველთა მცველმა სეროსტანოვმა საკუთარ კარში. საპასუხო ბურთების ავტორები იყვნენ პოპოვი და პროსკურინი.

„პახტაკორს“ „ზენიტთან“ შეხვედრაში გამარჯვება (1:0) მოუტანა ბექთაშევის გოლმა.

ახლა I ქვეჯგუფში საუკეთესო სნაიპერია ვ. პროსკურინი (ასკ, როსტოვი) — 9 ბურთი. II ქვეჯგუფში დაწინაურდა ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელი ჯ. ხერხაძე, რომლის ანგარიშზეა 7 გოლი.

საინტერესოა ასეთი ციფრები: 12-დან 16 ივნისამდე I ქვეჯგუფში გამართულ ექვს მატჩში მასპინძლებმა აიღეს 10 ქულა, სტუმრებმა — 2. II ქვეჯგუფში პირიქით მოხდა: მასპინძლებმა აიღეს სულ 3 ქულა, ხოლო სტუმრებმა — 9.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 18 ივნისისთვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	13	7	6	0	14—3	20
ცსკა	13	6	4	3	9—5	16
ასკ (როსტოვი)	13	6	2	5	17—16	14
„დინამო“ (მოსკოვი)	13	5	3	5	12—13	13
„ნეფტჩი“ (ბაქო)	13	4	5	4	11—12	13
„არარატი“ (ერევანი)	14	5	3	6	14—19	13
„ზარია“ (ლუგანსკი)	13	5	2	6	14—11	12
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	13	4	4	5	9—11	12
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	14	4	4	6	8—11	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	13	2	3	8	10—17	7

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	13	9	3	1	18—7	21
„დინამო“ (თბილისი)	13	7	6	0	18—4	20
„ტორპედო“ (მოსკოვი)	13	4	6	3	12—9	14
„შახტიორი“ (დონეცკი)	14	4	6	4	14—15	14
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	14	6	1	7	13—18	13
„ტორპედო“ (ქუთაისი)	13	5	2	6	14—17	12
„კაირატი“ (ალმა-ათა)	13	2	7	4	9—10	11
„დინამო“ (მინსკი)	13	4	3	6	10—15	11
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	13	3	4	6	10—13	10
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	13	1	4	8	10—20	6

კიდევ ერთი შესარჩევი

სან-სალვადორი, 16 ივნისი. XIII შესარჩევი ჯგუფიდან მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში გასასვლელად ჩატარებულმა ორმა მატჩმა სან-სალვადორისა და გონდურასის ნაკრებ გუნდებს შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა: ამ კოლექტივთა აქ გამართული განმეორებითი შეხვედრა მასპინძელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 3:0. გონდურასში ჩატარებული პირველი მატჩი ასეთივე ანგარიშით მოიგეს ამ ქვეყნის ფეხბურთელებმა. ახლა წინაა დამატებითი თამაში ნეიტრალურ მინდორზე. შემდეგ კი გამარჯვებული ამ ჯგუფის დასკვნით შესარჩევ ეტაპზე ეთამაშება ჰაიტის ნაკრებს.

კატუნი — ტურისტების მდინარე

მთიან ალტაიზე ცხრა ტურისტული მარშრუტი გადის. ისინი გაივლიან მდინარეებს, ტბებს, უღელტეხილებს. ამ ზაფხულს 15 ათასი კაცი გაატარებს შვებულებას და არდადეგებს აქ მოწყობილ ტურისტულ ბაზებში.

ტურბაზა „კატუნი“ ერთი წლის წინ შეიქმნა. ამ გაზაფხულს მან პირველად მიიღო ტურისტები, პირველმა გახსნა საზაფხულო სეზონი ალტაის მხარეში.

მთებში, სადაც ბაზაა გაშლილი, უჩვეულო ჰავაა. ზამთარი აქ უფრო თბილია და გაზაფხულიც უფრო ადრე იწყება, ვიდრე მხარის სხვა რაიონებში. ამის მიზეზია თბილი ქარები, რომლებიც გამუდმებით ჰქრიან ტაიგის მდინარე კატუნის ნაპირებზე. მაგრამ ამ ადგილების მთავარი მშვენება ბუნების წარმტაცი სილამაზეა. ამიტომ იყო, რომ ბაზის ყველა საგზურს სეზონის გახსნამდე დიდი ხნით ადრე გამოუჩნდა პატრონი.

დღისით ბანაკში ადამიანის ხმა არ ისმის, რადგან ყველა საწვრთნელ ლაშქრობაზეა წასული. საღამოს კარვების ქალაქი ცოცხლდება, ზოგი ბადმინტონს, ჩოგბურთსა და ბილიარდს თამაშობს, ზოგი საჭადრაკო დაფას მიუჯდება, ზოგი წიგნს კითხულობს (ბანაკში კარგი ბიბლიოთეკაა). როგორც კი მზე გორებს უკან ჩაესვენება, მდინარის ნაპირზე ტრადიციული კოცონის ალი იფეთქებს. გვიან ღამემდე ისმის ტურისტული სიმღერები...

ბანაკში ტურისტები ისწავლიან ორიენტირებას, ადგილის რუკის შედგენას, ამხანაგისთვის პირველი დახმარების გაწევას, დაეუფლებიან მთებში მოგზაურობის ხელოვნებას.

სურათზე: ლაშქრობა.

ფოტო ე. ლოგვინოვისა (საკდესი).

20^{45}

◆ ბალატონშეპლაკი, 17 ივნისი. აქ, ბალატონის ტბის პირას მდებარე წარმტაც აგარაკზე, დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ბრწყინვალედ ითამაშა ტალინელმა მ. რანიკუმ, რომელმაც თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და ფინიშამდე პირველი იყო — 11 ქულა 13-დან. II-III ადგილები გაიყვეს პოლიქრონიადემ (რუმინეთი) და ვეროციმ (უნგრეთი) — ისინი 2,5 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულს. IV ადგილზეა უნგრელი ხონფიჩე — 8 ქულა. ტურნირში აგრეთვე თამაშობდნენ გდრ-ის, იუგოსლავიის, ბულგარეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

◆ სტოკჰოლმი, 17 ივნისი. წარმატებით დაიწყეს თანამედროვე ხუთჭიდელთა საერთაშორისო შეჯიბრება კიეველმა ბ. ონიშჩენკომ და შვედმა ჰ. იაკობსონმა. პირველ სახეობაში — ფარიკაობაში მათ 28-28 გამარჯვება მოიპოვეს და თითოეულმა 1093 ქულა დააგროვა.

◆ ვარშავა, 17 ივნისი. პოლონელ მძლეოსანთა ასპარეზობაში ორმეტრიანმა გოლიათმა ზ. ბეგიერმა ბადრო 60,30 მეტრზე ტყორცნა. ი. შევინსკა 625 სანტიმეტრზე გადახტა.

◆ ლონდონი, 17 ივნისი. „კუინს კლაბის“ ბალახის კორტებზე დაწყებულმა ინგლისის ღია ჩემპიონატმა მსოფლიო საჩოგბურთო ელიტის დიდი ნაწილი მიიზიდა. ამ შეჯიბრების სტარტზე, რომელიც ჩვეულებრივ უიმბლდონის ტურნირის წინ იმართება, მოსკოველმა ო. მოროზოვამ დაამარცხა არგენტინელი ა. არიასი (6:2, 6:2), ხოლო რიგელმა ზ. იანსონემ — ფრანგი მ. ბიურელი (8:6, 6:4). მინსკელი ვ. კაზაკევიჩი პირველივე მატჩში მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს პროფესიონალ ჩოგბურთელს, ავსტრალიელ კ. როზუოლს შეხვდა და დამარცხდა — 1:6, 0:6.

◆ ლექსინგტონი (კენტუკის შტატი), 17 ივნისი. აქ კვლავ შესანიშნავად ტყორცნა შუბი ამერიკელმა მ. მურომ — 85,47 მ.

◆ პარიზი, 17 ივნისი. „კოლომბის“ სტადიონზე გამართულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში საფრანგეთის რეკორდსმენი ჟ. პანი სიგრძეზე ხტომაში 8-მეტრიან ზღუდეს მიუახლოვდა — 782 სმ. ტრავმის შემდეგ პირველად იასპარეზა სენტ-როზმა, რომელმაც 211 სმ სიმაღლე დაძლია.

◆ ბუდაპეშტი, 17 ივნისი. სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებაში ქალთა შორის ყველას აჯობა ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა კ. იანცმა (გდრ) — 38,9 ქულა. II ადგილზეა ტაშკენტელი ე. საადი — 37,7. ტაშკენტელს 0,15 ქულით ჩამორჩა ვიტებსკელი თ. ლაზაკოვიჩი. გუნდურ ჩათვლაში იმარჯვა გდრ-ის კოლექტივმა — 184,90 ქულა. II ადგილი საბჭოთა დინამოელებმა დაიკავეს — 184,4, III — ჩეხოსლოვაკიელებმა — 172,15. ვაჟთა შორის გაიმარჯვა უნგრელმა დ. ბორდანმა — 56,6 ქულა. II ადგილზეა მოსკოველი ვ. სოშინი — 56,0. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა — 177,95.

◆ ალიტუსი (ლიტვა), 17 ივნისი. „ბალტიის მეგობრობისველორბოლის“ VIII ეტაპზე (მერკინე — ალიტუსი, 112 კმ) ყველა საპრიზო ადგილი პოლონელებმა დაიკავეს: პირველი იყო ვ. კოვალჩუკი, მეორე — მ. შურკო (ორივეს ერთნაირი დრო აქვს — 2:39.39), მესამე — ი. სტახურა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა პოლონეთის სოფლის ახალგაზრდობის ნაკრებმა — 8:00.08. რვა ეტაპის შემდეგ ლიდერები არ შეცვლილან: წინ ისევ ი. ვლჩეკია (ჩეხოსლოვაკია) — 23:23.55. II ადგილი უჭირავს ლენინგრადელ ვ. ნელიუბინს („დინამოს“ ნაკრები) — 23:23.58, III — ქ. ვაგნერს (გდრ) — 23:28.41. გუნდურ ჩათვლაში I ადგილზეა პოლონეთის ნაკრები — 71:35.16. II ადგილზე გადაინაცვლა გდრ-ის ნაკრებმა — 71:46.20. III ადგილზე არიან სსრ კავშირის ნაკრების წევრები — 71:53.00.

როსტოველის ზუსტი ნასროლი

პარიზი, 16 ივნისი. (საკდესი). სასტენდო სროლაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ლარისა გურვიჩმა (დონის როსტოვი). შეჯიბრებაში, რომელიც ბუა დ'არსიში (პარიზთან ახლოს) ტარდება, გურვიჩმა 150-დან 141 სამიზნე დაამსხვრია. მან ჩამოიტოვა იტალიელი ლ. ფანტუცი, რომელიც ლიდერობდა ასპარეზობის პირველი დღის შემდეგ. ფანტუცის ვერცხლის მედალი ხვდა — 139 ქულა.

III ადგილზეა ლენინგრადელი კ. სმირნოვა, რომელიც ფანტუცის 5 ქულით ჩამორჩა.

იუნიორთა შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული ჩინებული შედეგით მოიგო 19 წლის ფრანგმა ე. პენომ: 150-დან 149 ქულა. ვერცხლის ჯილდო დაისაკუთრა 20 წლის ომსკელმა ნ. ბენეშმა (147).

ოქრო და ვერცხლი

პარიზი, 17 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბუა დ'არსიში დამთავრდა ევროპული ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ე. პეტროვმა ვერცხლის მედალი მოიპოვა: 200-დან 197 სამიზნე დაამსხვრია.

მრგვალ სტენდზე სროლაში კონტინენტის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა 19 წლის ფრანგმა ე. პენომ — 199.

გუნდურ ჩათვლაში პირველობდნენ საბჭოთა სპორტსმენები (600-დან 585 ქულა). II ადგილზე არიან საფრანგეთის (584), III — პოლონეთის (582) სპორტსმენები.

მძლეოსნობის მერიდიანებზე

უპსალა, 16 ივნისი. შვეციის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა სამი გამარჯვება მოიპოვეს. მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ლუსისმა შუბი 82,78 მეტრზე ტყორცნა და თვალსაჩინოდ — 8 მეტრზე მეტით „გაუსწრო“ შვეციის რეკორდსმენს ო. ნილსონს; ვ. გავრილოვმა სიმაღლეზე ხტომაში 6 სანტიმეტრით აჯობა მასპინძელ ბ. იონსონს (მოსკოველის შედეგია 211 სმ); ი. ტერ-ოვანესიანმა მოიგო სიგრძეზე ხტომა — 729 სმ. 110 მეტრზე თარჯრბენში ბადალი არ ჰყავდა შვედ ბ. ფორსანდერს — 13,9 წამი. II ადგილი დაიკავა ტალინელმა კ. იურკატამმა — 14,1.

ბუდაპეშტი, 16 ივნისი. გაზეთ „ნეპსავას“ პრიზზე საერთაშორისო შეჯიბრებაში 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. როვნოელმა ა. ბონდარჩუკმა კვლავ გააუმჯობესა უკრაინის რეკორდი უროს ტყორცნაში — 72,36 მ აჩვენა. ეს მეორე შედეგია საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში. გ. ბესონოვი (მოსკოვის ოლქი) პირველი იყო სამხტომში — 16,33 მ. შუბის მტყორცნელთა შორის წარმატებას მიაღწია უნგრელმა გ. კულჩარმა — 83,18 მ, ხოლო ბადროს ტყორცნაში — მისმა თანამემამულემ ი. ტეგლამ — 60,30 მ. შუბის მტყორცნელ ქალთა შორის გაიმარჯვა პოლონელმა დ. იავორსკამ — 56,60 მ.

კოპენჰაგენი, 16 ივნისი. დანიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია სკანდინავიის ქვეყნების ქალთა ნაკრებმა 4 × 400 მეტრზე ესტაფეტაში. გუნდის შედეგი — 3.42,7 სჯობს 1 ივნისს მინსკში ლატვიის ნაკრების მიერ დამყარებულ მსოფლიო მიღწევას. მაგრამ, რადგან გამარჯვებული გუნდის ღირსებას სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები — შვედები რანდერსი, ერიქსონი, ლიუნდგრენი და ნორვეგიელი ბერტელსენი იცავდნენ, ეს შედეგი მსოფლიო რეკორდად არ ჩაითვლება. ლ. ვესტერმანმა (გფრ) 58,24 მეტრზე ტყორცნა ბადრო, ხოლო მისმა თანამემამულემ ბ. ბერენდონკმა — 57,24 მეტრზე.

ლეიჩესტერი, 16 ივნისი. ინგლისის ამ ქალაქში ერთ მილზე (1609 მ) რბენაში მსოფლიოს ახალი მიღწევა დაამყარა ჰოლანდიელმა მარია გომერსმა — 4.36,8. 1967 წელს ინგლისელი ე. სმითის მიერ დამყარებული რეკორდი 0,2 წამით გაუმჯობესდა.

პარიზი, 16 ივნისი. ადგილობრივი „კოლომბის“ სტადიონის ტარტანის ბილიკზე ცნობილმა ფრანგმა მძლეოსანმა ჟ. ვადუმ 1500 მ წლევანდელი ევროპული სეზონის საუკეთესო დროით გაირბინა — 3.39,2. ფრანგმა ა. ბეერმა 19,22 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

ვარშავა, 16 ივნისი. აქ გამართულ შეჯიბრებაში ტ. ნოვაკოვსკამ ევროპის უმაღლესი მიღწევა გაიმეორა 100 მეტრზე თარჯრბენში — 13,5 წამი.

ბარსელონა, 16 ივნისი. ადგილობრივი უნივერსიტეტის სტადიონზე გამარჯვებულმა შვედმა კ. ჰერმარკმა თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა ათჭიდში — 7755 ქულა. ეს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპის სტადიონებზე. შეჯიბრების ლიდერმა, მსოფლიო რეკორდსმენმა კ. ბენდლინმა (გფრ) ჭოკით ხტომისას მუხლი დაიშავა და იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა.

ორანჯი (აშშ), 16 ივნისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბადროს მტყორცნელთა შორის ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიელმა ლ. დანეკმა — 64,67 მ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04164